N611 2015 წლის 4 დეკემბერი ქ. თბილისი

„სს „საქართველოს რკინიგზისა“ და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 25 დეკემბრის №706 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „სს „საქართველოს რკინიგზისა“ და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 25 დეკემბრის №706 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2014, 040170020.10.003.018326) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული შესყიდვების სპეციალური წესის:

1. მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შესყიდვა – შემსყიდველის სახსრებით, ამ წესის დანართით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა (დანართი შედგება ექვსი ნაწილისაგან, რომლებიც ცალ-ცალკე განსაზღვრავს იმ საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალს, რომელთა შესყიდვის უფლებამოსილება აქვს სს „საქართველოს რკინიგზას“, მისი 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ/დაფუძნებულ იურიდიულ პირებსა და ასეთი იურიდიული პირების 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ/დაფუძნებულ იურიდიულ პირებს, ამ წესით განსაზღვრული პროცედურებისა და პირობების შესაბამისად);“.

2. დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სს „საქართველოს რკინიგზის“ და მისი 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული იურიდიული პირების (შპს „ტრანს კავკასუს ტერმინალსი“, შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინი“, შპს „ჯორჯია ტრანზიტი“, შპს „ჯორჯიან ტრანზიტი“) და ასეთი იურიდიული პირების 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ის (შპს „ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზა“) მიერ შესასყიდი საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი“.

3. დანართს შპს „ჯორჯია ტრანზიტის“ შესაბამისი გრაფის შემდეგ დაემატოს შპს „ჯორჯიან ტრანზიტის“ გრაფა შემდეგი რედაქციით:

1	სს „საქართველოს რკინიგზისგან“ შესასყიდი, ძირითად საქმიანობასთან (სატრანსპორტო ექსპედიცია) დაკავშირებული და მისგან გამომდინარე საქონელი და მომსახურება
2	ძირითად საქმიანობასთან (სატრანსპორტო ექსპედიცია) და მისგან გამომდინარე საექსპერტო, სატერმინალო, საკონსულტაციო, საპროექტო და ინფორმაციულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები
3	ძირითადი საქმიანობიდან (სატრანსპორტო ექსპედიცია) გამომდინარე, სადგურებსა და ესტაკადებზე ვაგონ-ცისტერნების საჭიროებისამებრ გადაადგილების მომსახურება
4	საინფორმაციო, მარკეტინგული, საიმიჯო და სარეკლამო მომსახურება

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**